საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
პროპაგანდის კომისია
თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი
შემდგენელი ო. ნოზაძე
მხატვარი ბ. გაფრინდაშვილი. ტექრედაქტორი ვ. დოხნაძე

№ 21 (50)

ფასი 25 კაპ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., 14.
შეკვ. 2908. ტ. 10.000. უე 02268.

„დინამო“

(თბილისი, სსრ კავშირი)

«ДИНАМО»
(ТБИЛИСИ, СССР)

«DYNAMO»
(TBILISSI, USSR)

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

უეფა-ს თასზე

1. XI. 78

დასაწყისი **19** საათზე

„ჰერთა“

(დასავლეთ ბერლინი)

«ГЕРТА»
(ЗАПАДНЫЙ БЕРЛИН)

«HERTHA»
(WESTBERLIN)

КИНОСТУДИЯ ЕВРОПА

SEID HERZLICH WILLKOMMEN!

Heute wird über dem größten Sportplatz unserer Stadt, dem «Dynamo» Lenin–Stadion wieder die weißblaue Fahne der UEFA wehen. Die tbilisser Dynamo – Mannschaft spielt in der zweiten Runde der Europacupspiele gegen «Hertha», einer der stärksten Fußballmannschaften Westberlins.

Westberliner Fußballspieler sind allgemein bekannt. Schon seit langem beeindruckt die Zuschauer das technisch tadellose, schöne Spiel unserer Gäste, das ihnen schon zweimal den Weltmeistertitel gebracht hat. Wer kennt nicht die Namen der Fußballer Walter, Seeler, Rahn, Liebrich, Schnellinger, Beckenbauer, Overat, Müller, der hervorragenden Trainer Herberger und Schön. Gefährliche Gegner sind auch die westberliner Klubs «Bayern», «Borussia», «Eintracht», die erfolgreich an Länder, – Europa – und Weltmeisterschaften teilnahmen.

Der westberliner Klub «Hertha» ist dem tbilisser «Dynamo» wohl bekannt. Drei Treffen hatten schon die beiden Mannschaften: 1972 – in Westberlin, 1973 – in Tbilissi auf dem «Lokomotiv - Stadion», und am 18. Oktober dieses Jahres wieder in Westberlin. Alle drei Spiele verliefen höchst gespannt, interessant und temperamentvoll.

Wir hoffen, daß das heutige Treffen ebenfalls in kompromißlosem Kampf verlaufen und den tbilisser Fußballfreunden ein ebenso interessantes und spannendes Schauspiel bieten wird, wie es die Westberliner vor zwei Wochen auf ihrem Olympia – Stadion erlebt haben.

სალამი გერმანელ სტუმრებს!

დღეს ჩვენი ქალაქის უდიდესი სპორტული ნაგებობის — ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის მაღალ ანძაზე კვლავ იფრიალებს უეფა-ს თეთრ-ცისფერი დროშა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ევროპის საკლუბო ტურნირის მეორე ეტაპის განმეორებით მატჩში ხვდებიან დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ჰერტას“.

დასავლეთგერმანული ფეხბურთის ძალა საყოველთაოდ ცნობილია — სტადიონების ტრიბუნებს კარგა ხანია ხიბლავს ჩვენი სტუმრების ტექნიკური, სწრაფი, ათლეტური თამაში, რომელმაც ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა ორჯზის. ვის არ გაუგონია ტუავის ბურთის ისეთი დიდოსტატების სახელები, როგორნიც არიან ფ. ვალტერი, ზეელერი, რანი, ლიბრიჰი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, ოვერატი, მიულერი, შესანიშნავი მწვრთნელები ჰერბერგერი და შიონი. მრისხანე ძალას წარმოადგენენ ნებისმიერი გუნდისთვის დასავლეთგერმანული კლუბებიც, პირველ რიგში „ბაიერნი“, „ბორუსია“, „ეინტრახტი“, რომლებიც წარმატებით გამოდიან სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში.

დღევანდელი ჩვენი მეტოქე — დასავლეთ ბერლინის კლუბი „ჰერტა“ თბილისის „დინამოსთვის“ ნაცნობი გუნდია. მეტოქეები უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 1972 წელს — დასავლეთ ბერლინში; 1973 წელს — თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე და ა. წ. 18 ოქტომბერს — კვლავ დასავლეთ ბერლინში. ეს მატჩები დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა.

იმედია, რომ მეტოქეები ერთმანეთს დღესაც უკომპრომისო ბრძოლას შესთავაზებენ და, ისევე, როგორც ორი კვირის წინ 15 ათასი დასავლეთგერმანელი გულშემატკივარი თავიანთ ოლიმპიურ სტადიონზე (ზემო სურათზე), თბილისელი ფეხბურთის მოყვარულებიც საინტერესო სანახაობას იხილავენ.



НА КУБОК УЕФА

1/32 ФИНАЛА

«Динамо» (Тбилиси) — «Наполи» (Италия) — 2:0, 1:1.
«Торпедо» (Москва)—«Мольде» (Норвегия)—4:0, 3:3
«Дукла» (Чехословакия) — «Ланеросси» (Италия) — 1:0, 1:1.
ЦСКА «Септемврийско знаме» (Болгария) — **«Валенсия» (Испания)** — 2:1, 1:4.
«Боруссия» (Мёнхенгладбах, ФРГ) — **«Штурм» (Австрия)** — 5:1, 2:1.
«Арджес» (Румыния) — «Панатинаикос» (Греция) — 3:0, 2:1.
«Атлетик» (Бильбао, Испания) — **«Аякс» (Голландия)** — 2:0, 0:3.
«Эвертон» (Англия) — «Финн Харпс» (Шотландия) — 5:0, 5:0.
«Женесс» (Люксембург) — **«Лозанна» (Швейцария)** — 0:0, 0:2.
«Нант» (Франция) — **«Бенфика» (Португалия)** — 0:2, 0:0.
«Реал» (Хихон, Испания) — «Торино» (Италия) — 3:0, 0:1.
«Спортинг» (Брага, Португалия) — «Хиберниан» **(Англия)** — 1:3, 1:3.
«Динамо» (Берлин, ГДР) — **«Црвена звезда» (Югославия)** — 5:2, 1:4.
1903 Копенгаген» (Дания) — **«Куопио Палосеура» (Финляндия)** — 1:2, 1:4.
«Галатасарай» (Турция) — **«Вест Бромвич Альбион» (Англия)** — 1:2, 4:4.
«Базель» (Швейцария) — **«Штутгарт» (ФРГ)** — 2:3, 1:4.
«Эльфсборг» (Швеция» — **«Рэсинг» (Страсбург, Франция)** — 2:0, 1:4.
«Стандард» (Бельгия) — «Данди Юнайтед» (Шотландия) — 1:0, 0:0.
«Старт» (Норвегия) — **«Эсбьерг» (Дания)** — 0:0, 0:1.
«Арсенал» (Англия) — «Локомотив» (Лейпциг, ГДР) — 3:0, 4:1.
«Карл Цейсс» (ГДР) — «Лиерс» (Бельгия) — 1:0, 2:2.
«Вестманнаэйяр» (Исландия) — **«Гленторан» (Северная Ирландия)** — 1:1, 0:0.
«Твенте» (Голландия) — **«Манчестер Сити» (Англия)** — 1:0, 2:3.
«Хибернин» (Шотландия) — «Норчепинг» (Швеция)— 3:2, 0:0.
«Политехника» (Тимишоара, Румыния) — МТК (Венгрия) — 2:0, 1:2.
«Пезопорикис» (Кипр) — **«Шленск» (Польша)** — 2:2, 1:5.
«Олимпиакос» (Греция) — **«Левски-Спартак» (Болгария)** — 2:1, 1:3.
«Милан» (Италия) — «Локомотив» (Кошице, Чехословакия) — 1:0, 0:1 (по пенальти — 7:6).
«Хайдук» (Югославия) — «Рапид» (Австрия) — 2:0, 1:2.
«Герта» (Западный Берлин) — «Тракия» (Болгария) — 0:0, 2:1.
«Дуйсбург» (ФРГ) — «Лех» (Польша) — 5:0, 5:2.
«Гонвед» (Венгрия)—«Аданаспор» (Турция)—6:0, 2:2.

ᲓᲦᲔᲡ...

...ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ .Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲘᲡ 21-Ე ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲢᲩᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ „ᲰᲔᲠᲗᲐ“.

ᲐᲛ ᲯᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ (ᲛᲐᲡ ᲮᲔᲓᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲔᲚᲘ Მ. ᲕᲚᲐᲘᲩᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲛᲐᲰᲞᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ — 2:0 (1:0).

ᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲜᲘᲣᲗᲘᲜᲒᲛᲐ (42-Ე ᲬᲣᲗᲘ) ᲓᲐ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲪᲐᲛ (68-Ე ᲬᲣᲗᲘ).

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲒᲝᲒᲘᲐ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ, ᲙᲐᲜᲗᲔᲚᲐᲫᲔ, ᲩᲘᲕᲐᲫᲔ, Გ. ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ, ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ, Მ. ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ, ᲭᲝᲠᲘᲫᲔ, ᲒᲣᲪᲐᲔᲕᲘ, ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲘ, ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲐᲘ „ᲰᲔᲠᲗᲐᲡ“ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲪ: ᲜᲘᲒᲑᲣᲠᲘ, ᲖᲘᲓᲐᲢᲘ, ᲑᲠᲘᲣᲙᲘ, ᲤᲘᲝᲠᲘᲡᲢᲔᲠᲘ, ᲕᲐᲘᲜᲔᲠᲘ, ᲜᲘᲣᲗᲘᲜᲒᲘ, ᲖᲘᲓᲙᲐ, ᲑᲔᲔᲠᲘ (ᲑᲔᲠᲜᲓᲝᲠᲤᲘ), ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲪᲐ, ᲑᲚᲔᲮᲨᲛᲘᲓᲢᲘ, ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘ.

...ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲨᲘ (ᲒᲬᲠ) ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ“.

ᲐᲛ ᲯᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ — 2:1 (1:1).

...ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲐᲚᲛᲘᲝᲨᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲛᲐᲚᲛᲘᲝᲡᲗᲐᲜ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ ᲤᲠᲔᲓ — 0:0 ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲕ 14 ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ 14 ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ. ᲛᲝᲒᲕᲣᲧᲐᲕᲡ ᲛᲝᲐᲡᲐᲠᲔᲖᲔᲗᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ. ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ:

„ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ“ (ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ) — „ᲑᲝᲠᲣᲡᲘᲐ“ (ᲛᲘᲝᲜᲰᲔᲜᲒᲚᲐᲓᲑᲐᲰᲘ, ᲒᲤᲠ) — 0:0.
„ᲔᲕᲔᲠᲢᲝᲜᲘ“ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ) — „ᲓᲣᲙᲚᲐ“ (ᲩᲔᲰᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ) — 2:1.
„ᲐᲠᲯᲔᲡᲘ“ (ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) — „ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ“ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) — 2:1.
„ᲐᲘᲐᲥᲡᲘ“ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) — „ᲚᲝᲖᲐᲜᲐ“ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) — 1:0.
„ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ“ (ᲑᲠᲐᲒᲐ, ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ) — „ᲕᲔᲡᲢ ᲑᲠᲝᲛᲕᲘᲩ ᲐᲚᲑᲘᲝᲜᲘ“ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ) — 0:2.
„ᲠᲔᲡᲘᲜᲒᲘ“ (ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — „ᲰᲘᲑᲔᲠᲜᲘᲐᲜᲘ“ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ) — 2:0.
„ᲠᲔᲐᲚᲘ“ (ᲮᲘᲰᲝᲜᲘ, ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) — „ᲪᲠᲕᲔᲜᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ“ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) — 0:1.
„ᲙᲐᲠᲚ ᲪᲔᲘᲡᲘ“ (ᲒᲓᲠ) — „ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ“ (ᲒᲤᲠ) — 0:0.
„ᲙᲣᲝᲞᲘᲝ ᲞᲐᲚᲝᲡᲔᲣᲠᲐ“ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ) — „ᲔᲡᲑᲘᲔᲠᲒᲘ“ (ᲓᲐᲜᲘᲐ) — 0:2.
„ᲕᲔᲡᲢᲛᲐᲜᲐᲘᲐᲠᲘᲝ“ (ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ) — „ᲨᲚᲘᲝᲜᲡᲙᲘ“ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) — 0:2.
„ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲡᲘᲢᲘ“ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ) — „ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲓᲘ“ (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) — 4:0.
„ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲰᲜᲘᲙᲐ“ (ᲢᲘᲛᲘᲨᲝᲐᲠᲐ, ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) — „ᲰᲝᲜᲕᲔᲓᲘ“ (ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ) — 4:0.
„ᲰᲐᲘᲓᲣᲙᲘ“ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) — „ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ“ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ) — 2:1.
„ᲚᲔᲕᲡᲙᲘ-ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘ) — „ᲛᲘᲚᲐᲜᲘ“ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) — 1:1.

КУБОК УЕФА

ИЗ ПОЛОЖЕНИЯ О РОЗЫГРЫШЕ

● Общее число клубов, участвующих в розыгрыше — 64.

● Всего проводится 6 кругов, включая и финальные матчи.

● Переходящий Кубок УЕФА вручается команде — победительнице сроком на один год. Обладатель возвращает его Генеральному секретариату за месяц до начала финальной встречи следующего сезона. Миниатюра Кубка вручается каждому победителю.

● Переходящий Кубок становится собственностью команды, которая его завоюет три раза подряд или всего пять раз.

● Команде-победительнице присуждается до 13 золотых медалей, а команде, занявшей второе место — до 13 серебряных медалей.

● До начала матча в официальном протоколе отмечается не более 16 игроков, из которых 5 запасные.

● Финал состоит из 2 матчей (у себя на поле и на поле соперника: ныне — 26 апреля и 9 мая 1979 года). Если обе команды забивают одинаковое количество голов, то во второй встрече назначается дополнительное время 2×15 мин. Если и оно заканчивается вничью — назначается серия пенальти.

● Пары определяются путем жеребьевки, причем первый матч проводится на поле команды, которая оказалась первой при жеребьевке.

● Комитет судей назначает арбитров от нейтральной страны на каждый матч. Могут быть назначены только судьи из официального списка рефери УЕФА. Боковые судьи назначаются национальной ассоциацией, к которой принадлежит рефери. Рефери и боковые судьи должны прибыть к месту проведения матча за день до начала игры.

●

ТАК НАЧАЛИ...

В четвертый раз включились в розыгрыш Кубка УЕФА футболисты тбилисского «Динамо».

Нынешний, 21-й по счету розыгрыш почетного приза, тбилисские футболисты начали встречей с итальянским клубом «Наполи» (Неаполь). Первый матч в Тбилиси (13 сентября) динамовцы выиграли со счетом 2:0, а ответный поединок в Неаполе (27 сентября) закончился вничью — 1:1.

Таким образом, тбилисское «Динамо» вышло в следующий круг розыгрыша.

Вот в каком составе начинали тбилисцы матчи с «Наполи»: Гогия, Костава, Кантеладзе, Чивадзе, Г. Мачандзе, Дараселия, М. Мачандзе, Коридзе, Гуцаев, Кипиани, Шенгелия. В первой встрече по ходу игры Кипиани был заменен Челебадзе, а в Неаполе вместо Коридзе и Шенгелия на поле вышли Копалейшвили и Сулаквелидзе.

თბილისი, 1978 წლის 13 სექტემბერი

«დინამო» — «ნაპოლი»

უეფა-ს თასზე



ПАПСФ. "НАШИ В ЕВРОПЕ"

„ჰერტა“ | «ГЕРТА» | «HERTHA»

№ ნიგბური	НИГБУР	NIGBUR
№ ვერნერი	ВЕРНЕР	WERNER
№ ზიდატი	ЗИДАТ	SZIEDAT
№ კრემერი	КРЕМЕР	KRÄMER
№ ბრიუკი	БРЮКК	BRÜCK
№ ვაინერი	ВАЙНЕР	WEINER
№ ფიორსტერი	ФЁРСТЕР	FÖRSTER
№ რასმუსენი	РАСМУССЕН	RASMUSSEN
№ ბეერი	БЕЕР	BEER
№ ნიუსინგი	НЮССИНГ	NÜSSING
№ ზიდკა	ЗИДКА	SIDKA
№ ბლეხშმიდტი	БЛЕХШМИДТ	BLECHSCHMIDT
№ გრანიტცა	ГРАНИТЦА	GRANITZA
№ გერსდორფი	ГЕРСДОРФ	GERSDORF
№ მილევსკი	МИЛЕВСКИ	MILEWSKI
№ აგერბეკი	АГЕРБЕК	AHERBEK
უფროსი მწვრთნელი კუნო კლიოტცერი	Старший тренер — КУНО КЛЕТЦЕР	Chef–Trainer – KUNO KLÖTZER.
გუნდის კაპიტანი ერიხ ბეერი.	Капитан команды — ЭРИХ БЕЕР.	Mannschaftskapitän – ERICH BEER.

№ ბოგია	БОГИА	GOGIA
№ გაბელია	ГАБЕЛИЯ	GABELIA
№ კოსტავა	КОСТАВА	KOSTAWA
№ ხუანიშვილი	ХИЗАНИШВИЛИ	CHISANISCHWILI
№ კანტელაძე	КАНТЕЛАДЗЕ	KANTELADSE
№ სულაკველიძე	СУЛАКВЕЛИДЗЕ	SULAKWELIDSE
№ მუძკირი	МУДЖКИРИ	MUDSCHIRI
№ გ. მაწაიძე	Г. МАЧАИДЗЕ	G. MATSCHAIDSE
№ მ. მაწაიძე	М. МАЧАИДЗЕ	M. MATSCHAIDSE
№ კორიძე	КОРИДЗЕ	KORIDSE
№ დარასელია	ДАРАСЕЛИЯ	DARASSELIA
№ ჭიბადე	ЧИБАДЗЕ	TSCHIWADSE
№ კოპალეიშვილი	КОПАЛЕИШВИЛИ	KOPALEISCHWILI
№ გუცაევი	ГУЦАЕВ	GUTSAJEW
№ კიპიანი	КИПИАНИ	KIPIANI.
№ შენგელია	ШЕНГЕЛИЯ	SCHENGELIA
№ ჩხელიძე	ЧЕЛЕБАДЗЕ	TSCHELEBADSE
უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი.	Старший тренер — НОДАР АХАЛКАЦИ	Chef-Trainer – NODAR ACHALKATSI
გუნდის კაპიტანი მანუჩარ მაწიხაძე	Капитан команды — МАНУЧАР МАЧИХАДЗЕ	Mannschaftskapitän – MANUTSCHAR MATSCHAIDSE

„დინამო“ | «ДИНАМО» | «DYNAMO»

№ ამაბაი	АМАБАЙ	AMABAI
№ ბაგრატიონი	БАГРАТИОН	BAGRATIONI
№ ალიკაევ	АЛИКАЕВ	ALIKAJEW
№ ბოგუტაროვ	БОГУТАРОВ	BOGUTAROW
№ ალექსეევ	АЛЕКСЕЕВ	ALEXEJEW
№ ბურეევ	БУРЕЕВ	BURJEW
№ ბუბნოვი	БУБНОВ	BUBNOW
№ ბ. ბარანოვი	Б. БАРАНОВ	B. BARANOW
№ ბ. ბარანოვი	Б. БАРАНОВ	B. BARANOW
№ ბორბოტკო	БОРБОТКО	BORBOTKO
№ ბოლოტნიკოვი	БОЛОТНИКОВ	BOLOTNIKOW
№ ბ. ბარანოვი	Б. БАРАНОВ	B. BARAN

თამაშობენ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები

1950 წლის 22 ნოემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა თავისი პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა. მისი მეტოქე იყო შვეიცარიის ნაკრები, რომელიც დაამარცხა მინიმალური ანგარიშით 1:0. მას შემდეგ გფრ-ის ნაკრებმა სხვადასხვა რანგის მრავალი შეხვედრა ჩაატარა და დღეს ფეხბურთის სამყაროში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება. საკმარისია ითქვას, რომ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონის უმაღლეს საფეხბურთო ტიტულს ორჯერ (1954 და 1974 წლებში) ფლობდნენ.

ჩვენი სტუმრების ფეხბურთი, როგორც წესი, გამოირჩევა მაღალი ტექნიკით, სისწრაფით, რაციონალობით, მისი მოთამაშეები ათლეტურად, ტემპიანად თამაშობენ, კარგად ამუშავებენ ბურთს, ტაქტიკურ მრავალფეროვნებას იჩენენ და რგოლებს შორის სრული ურთიერთგაგება ახასიათებთ. ყოველივე ეს საკმაოდ საინტერესოს ხდის მათ თამაშს, დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს ნებისმიერ მეტოქეს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა, ცხადია, თანდათანობით, წლების განმავლობაში შეიძინეს. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შვეიცარიაში გფრ-ის გუნდი არავის მიაჩნდა ფავორიტად .ამიტომ ბევრს შემთხვევითობათაც კი მოეჩვენა მისი გასვლა ფინალში. ბუნებრივია არც ამ გადამწყვეტ მატჩში უწინასწარმეტყველებდნენ დასავლეთგერმანელებს გამარჯვებას, მით უფრო, რომ 4 ივლისის გადამწყვეტ მატჩში ციურიხის მთავარ სტადიონზე მის წინააღმდეგ იდგნენ თვით უნგრელი ფეხბურთელები — ე. წ. „დიდი გუნდი“ გროშიჩით, ბოჟიკით, კოჩიშით, ხიდეგკუტით... დაუმატეთ ამას ისიც, რომ უნგრელებმა მესამე ქვეჯგუფში პირდაპირ გაანადგურეს გფრ-ის ნაკრები (8:3).

მიუხედავად ამისა, 63 ათასი მაყურებელი ჩემპიონატის მთავარი სენსაციის მოწმე გახდა. მატჩი უნგრელების შეტევით დაიწყო, რომლებმაც წაიყვანეს ანგარიში — 2:0, მაგრამ მეტოქემ გაქვითა ორივე ბურთი და როდესაც ფინალურ სასტვენამდე ექვსი წუთი იყო დარჩენილი გფრ-ის ნაკრების მარჯვენა გარეშარბმა ჰელმუტ რანმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა პარტნიორთა ორსვლიანი კომბინაცია — 3:2. გამარჯვებულთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: ტურეკი, პოზპალი, კოლმეიერი, ეკელი, ლიბრიჰი, მაი, რანი, მარლოკი, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი (გუნდის კაპიტანი), შეფერი. მათთან ერთად, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გუნდის უფროსი მწვრთნელი ზეპ ჰერბერგერი ,რომელმაც ფინალური მატჩის წინ განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდე, სრულებითაც არ არის საჭირო სხვებზე ძლიერად ითამაშო საერთოდ. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ძლიერი იყო ტურნირის სამი კვირის მანძილზე!“

დიახ, ჩემპიონის უფროსმა მწვრთნელმა შეძლო თავისი გუნდი სპორტული ფორმის მწვერვალზე სწორედ გადამწყვეტ მომენტში აეყვანა.

ფეხბურთის ოლიმპზე დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები მეორედ ზუსტად 20 წლის შემდეგ ავიდნენ — 1974 წელს მიუნხენში. თუ ადრე მათ ნაკრებს ვარსკვლავების უყოლობას უჩიოდნენ, ახლა მასპინძლების მთავარ გუნდში მთელი თანავარსკვლავედი იყო შექმნილი. თვითონ განსაჯეთ: ბეკენბაუერი, მიულერი, ოვერატი, ბრაიტნერი, გრაბოვსკი, მაიერი... ნებისმიერი მათგანი რომელსაც გნებავთ გუნდს დაამშვენებდა.

არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემპიონთა გუნდიდან სულ სამი მოთამაშე დარჩა: მაიერი, ფოგტსი და ბონჰოფი. გუნდის უოფილი კაპიტანი ბეკენბაუერი ნიუ-იორკის „კოსმოსში“ გადავიდა და მხოლოდ დროებით შეიძლებოდა მისი მოწვევა ჩემპიონატის წინ. ცხადია, რომ ჰ. შიონმა უარი თქვა მასზე — ვინ იცის, როგორ ფორმაში ჩამოვიდოდა ბუენოს-აირესში გულშემატკივართა კერპი? მიუხედავადაც ამისა, ჰ. შიონს მიაჩნდა ,რომ მისი ნაკრები საუკეთესოთა ნაკრებებს მიეკუთვნება ბრაზილიელებთან, არგენტინელებთან და ჰოლანდიელებთან ერთად .გუნდის მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებდა ახალ ცენტრალურ თავდამსხმელზე კლაუს ფიშერზე, რომელიც უვე ზეელერის და ჰერდ მიულერის მემკვიდრედ მიაჩნდათ.

მეორე ქვეჯგუფის პირველი მატჩი წინა პირველობის პრიზიორ პოლონეთის ნაკრებთან დასავლეთგერმანელებმა ფრედ დაამთავრეს — 0:0, გამანადგურებელი ანგარიშით 6:0 მოუგეს მექსიკის გუნდს და ყველასთვის მოულოდნელად კვლავ 0:0 ითამაშეს ტუნისის ფეხბურთელებთან. ამასთან, ჩემპიონებმა ამ მატჩის ბოლო წუთებამდე არ იცოდნენ. გავიდოდნენ თუ არა გათამაშების მომდევნო წრეში. ერთადერთ სანუგეშო ფაქტად რჩებოდა ის, რომ გფრ-. დაცვას და მეკარე მაიერს წინასწარ გათამაშებაში ბურთი არ გაუშვიათ, რასაც ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია.

„ა“ ფინალური ჯგუფის ტურნირი დასავლეთგერმანელებმა კვლავ ტრადიციული ანგარიშით 0:0 დაიწყეს (იტალიელებთან), შემდეგ წააგეს ავსტრიის ნაკრებთან (2:3) და ფრედ (2:2) ითამაშეს ჰოლანდიელებთან. საბოლოოდ, მესამე ადგილი ჯგუფში და... ოთხი წლით გადამშვიდობება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულთან.

მსოფლიო XI ჩემპიონატი. გფრ-ისა და არგენტინის მატჩი. არგენტინელი რობერტო ბეტეგასა და ზეპ მაიერის ორთაბრძოლა.

მსოფლიო XI ჩემპიონატი. გფრ-ისა და ავსტრიის მატჩი. დიტერ მიულერი (№ 14) ავსტრიელთა მეკარის რაკუსანი კონსილიას პირისპირ.

ჩვენი სტუმარი

«ჰერტა»

დასავლეთ ბერლინის ფეხბურთელთა კლუბი „ჰერტა“ გფრ-ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. საკმარისია ითქვას, რომ იგი 1970 და 1971 წლებში ქვეყნის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი იყო ,ხოლო 1975 წელს ვერცხლის მედალს დაეუფლა. 1976 და 1977 წლების სეზონებში „ჰერტა“ შედარებით წარუმატებლად თამაშობდა და შესაბამისად მე-11 და მე-10 ადგილებზე გამოვიდა.

ახალ სეზონში გუნდს ხათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი კუნო კლიოტცერი, რომელმაც 1977 წელს თასების თასი მოაპოვებინა „ჰამბურგის“ კლუბს. მართალია „ჰერტას“ წამყვანი მოთამაშე კოსტედე (იგი ქვეყნის ნაკრებშიც გამოდიოდა) გამოაკლდა (დორტმუნდის „ბავარიაში“ გადავიდა), მაგრამ გუნდს ეს თითქოს არც დატყობია — მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩემპიონატის ფინიშზე „ჰერტა“ კვლავ საპრიზო, მესამე ადგილზე გავიდა და უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ახალი ჩემპიონატის წინ გუნდიდან ორი თავდამსხმელი წავიდა — გრაუ და კრისტენსენი .სამაგიეროდ „ჰერტამ“ კარგი შევსება მიიღო თავდამსხმელების მილევსკის, აგერბეკის და ნახევარმცველ ბლეკშმიდტის სახით .

„ჰერტამ“ წარუმატებლად დაიწყო მიმდინარე ჩემპიონატი, მაგრამ კ. კლიოტცერს მიაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია, გუნდში ხომ საფუძვლიანი „რეკონსტრუქცია“ მიმდინარეობს.

— ჩვენ, ცხადია, შეგვეძლო გვეთამაშა ძველებურად, — დასძენს მწვრთნელი, მაგრამ შარშანდელი შედეგი „ჰერტასთვის“ მაშინ ხომ მაქსიმუმი იყო. ახლა უკვე საჭიროა ვიფიქროთ მომავალზე, და გადავაბალიხოთ როგორც გუნდის შემადგენლობა, ასევე თვით თამაშიც“.

„ჰერტას“ კარს იცავს გამოცდილი ნიგბური (მას ნაკრებშიც უთამაშია), დაცვის ბურჯია მაღალი ტანის კლიაიმანი (საერთოდ ამ კლუბის უკანა ხაზი „გიგანტი“ ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული). ნახევარდაცვაში თამაშობს ვეტერანი ბეერი, რომელიც „ჰერტას“ ნამდვილი სული და გულია. სხვათა შორის ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა მისი თამაში უკვე ნახეს 1973 წელს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დინამოელთა მატჩის დროს „ჰერტასთან“ (2:0), წელს კი ეს 32 წლის ფეხბურთელი (№ 15) ტელეეკრანიდან ვიხილეთ არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, როდესაც იგი გფრ-ის ნაკრების ღირსებას იცავდა.

და ბოლოს თავდასხმის შესახებ. ამ ხაზში ყველაზე ძლიერია, უდავოდ, 27 წლის გრანიტცა. სწორედ ამ ფორვარდმა გაიტანა ამას წინათ ორივე გოლი „ჰერტას“ საპასუხო მატჩში უეფა-ს თასზე პლოვდივში ადგილობრივ „თრაკიასთან“ (2:1).

— ახლა ჩვენთვის მთავარია გათამაშებაში მშვიდობიანად მივაღწიოთ გაზაფხულს, — განაცხადა კ. კლიოტცერმა — იმ დროისთვის კი „ჰერტა“ უკვე მზად იქნება ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო მატჩების ჩატარებისთვის!

ოლიმპიურ სტადიონზე

ორი კვირის წინ

ეს რეპროდუქცია დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე 18 ოქტომბერს „ჰერტასა“ და თბილისის „დინამოს“ პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩისთვის გამოშვებულ პროგრამის ყდიდანაა გაკეთებული.

ოლიმპიური სტადიონის პროგრამა (იგი ჩვენი პროგრამის ფორმატისაა, ასევე 16 გვერდისაგან შედგება) იხსნება მისალმებით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისადმი, აქვეა დაბეჭდილი დინამოელთა გუნდის სურათი და სსრ კავშირის 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დავით ყიფიანის (რომელსაც ავტორები „საბჭოთა ბეკენბაუერს“ უწოდებენ) ფოტო, დღევანდელ მეტოქეთა პირველი ორი შეხვედრის — 1972 და 1973 წლების მატჩების — მოკლე მასალა, გფრ-ის ბუნდესლიგის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი (9 ტურის შემდეგ „ჰერტა“ 18 გუნდს შორის 7 ქულით მე-13 ადგილზე იმყოფებოდა: 2 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება, ბურთები 15—16), „ჰერტას“ საუკეთესო ფეხბურთელების თამაშის მომენტები და სხვა. პროგრამაში დიდი ადგილი დათმობილი აქვს ტრადიციულ რეკლამას.

თამაშობს „ჰერტა“: გრანიტცა (მარკხნივ), ბეერი (ცენტრში), ვაინერი (მარჯვნივ).

ხუთი წლის წინათ...

დღევანდელი მეტოქეები უკვე მესამედ ასპარეზობენ ერთმანეთთან. მათი პირველი შეხვედრა გაიმართა დასავლეთ ბერლინში 1972 წლის 26 აგვისტოს. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ჰერტამ".

თბილისის „დინამო" და დასავლეთ ბერლინის „ჰერტა" მეორედ ერთმანეთს 5 წლის წინათ შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქში, „ლოკომოტივის" სტადიონზე. თბილისელებმა რევანში აიღეს — 2:0. ბურთები გაიტანეს ყიფიანმა და ფ. რეხვიაშვილმა.

მოგვყავს გუნდების შემადგენლობანი იმ შეხვედრაში (მატჩს სჯიდა მოსკოველი ვ. ლიპატოვი):

„დინამო" — გოგია (ჩლაიძე), პეტრიაშვილი, ებრალიძე, კანთელაძე, ხიხჩაგაშვილი ,მჭედლიშვილი ,მ .მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ფ. რეხვიაშვილი), ყიფიანი, წერეთელი (ლ .ნოდია).

„ჰერტა" — ვოლტერი, ცენგერლე, მიულერი, ჰერმანდუნგი, ჰანიში, ბეკერი, ბრიუკი, ვერტმიულერი, ლენცი, ჰორი, რიდლი.

●

ИНТЕРЕСНО, ЧТО...

ЛУЧШИМИ футболистами Европы признавались западногерманские футболисты — игроки мюнхенского «Байерна» Герд Мюллер (в 1970 году) и Франц Беккенбауэр (в 1972 и 1976 годах).

ОБЛАДАТЕЛЕМ приза «Золотая бутса», учрежденного французским еженедельником «Франс — футбол» дважды становился Герд Мюллер (в 1970 и 1972 годах).

КУБОК чемпионов выигрывал «Байерн» (в 1974 году), Кубок Кубков — дортмундская «Боруссия» (в 1966 году), «Байерн» (в 1967 году) и «Гамбург» (в 1977 году), Кубок УЕФА — мёнхенгладбахская «Боруссия» (в 1975 году), Межконтинентальный кубок — «Байерн» (в 1976 году, победивший в финале бразильский клуб «Крузейро» — 2:0, 0:0 .

СЛУХИ "НАШИХ ВОРОТ"

ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲘᲘ

მოხერხებული ფოტორეპორტიორი

ალბათ არც ერთ ქვეყანაში არ არიან ფოტორეპორტიორები სენსაციების ისეთი მოყვარულნი, როგორც ეს ესპანეთშია .თვითონ განსაჯეთ: დანიელი ფეხბურთელი ჰენინგ ენსენი ,რომელიც მადრიდის „რეალში" თამაშობდა, საოპერაციო მაგიდაზე იწვა ,როდესაც ქირურგიულ განყოფილებაში შეიპარა ერთი მოხერხებული ფოტორეპორტიორი. მან სწრაფად მოიმარჯვა აპარატი და როდესაც ფეხბურთელს მუხლის ოპერაციას უკეთებდნენ, მთელი ფოტორეპორტაჟი გააკეთა ჟურნალ „აბც"-სთვის.

გააძევეს... მსაჯები

ეს ისტორია პერუს ჩემპიონატზე მოხდა ქალაქ ჩიმბოტაში. მატჩის არბიტრმა მონტეიროომ მახპინძელთა კარში გოლი ჩათვალა, ხოლო გვერდითმა მსაჯმა მოროტემ თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. არბიტრებმა მოიდინის ცენტრში ენერგიულად დაიწყეს ერთმანეთთან ჭეშმარიტების დადგენა, იმდენად „ენერგიულად", რომ მოთამაშეებმა ისინი მინდვრიდან გააძევეს და მატჩი უმსაჯებოდ დაამთავრეს.

მოდიან და მიდიან

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით მათი ქვეყანა მსაჯების მწვავე ნაკლებობას განიცდის. და აი სიხარული: გამოცხადდა, რომ ფეხბურთის არბიტრის წოდება კიდევ 56 კაცმა მიიღო, მაგრამ... მეორე დღეს ერობაშად 76 ძველი მსაჯი გადადგა.

ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ეს ამბავი ინგლისში მოხდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" კლუბის „ოლდ ტრეფორდის" სტადიონზე. მასპინძლები იმ დღეს უხეიროდ თამაშობდნენ და გულშემატკივრებმა გადაწყვიტეს ჯავრი მატჩის მსაჯზე კლარკზე ეყარათ. ერთმა მათგანმა არბიტრს კარგა მსხვილი ვაშლი ესროლა. კლარკმა სიმშვიდე და იუმორის გრძნობა არც ამ მომენტში დაკარგა, დასწვდა ხილს, გულდასმით გაწმინდა და თავმომწონედ შეუდგა ჭამას. ტრიბუნები იცინოდნენ — ინციდენტს წერტილი დაესვა.

დალტონიკი მეკარე?

ბშრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე, სახელგანთქმული ზეპ მაიერი ამახწინათ სასამართლოს წინაშე წარსდგა. იგი ავტომანქანას მართავდა და მოძრაობის წესები დაარღვია: პირდაპირ წითელ შუქზე მიდიოდა. მაიერი შეეცადა თავის გამართლებას: ფერებს ძნელად ვარჩევო! მაგრამ ვინ დაუჯერა — განა ნაკრების მეკარე შეიძლება დალტონიკი იყოს? მაიერს... საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდა მოუხდა.

თამაშის მეორე დღეს...

ინგლისში სულ უფრო ფართო ხასიათისა ხდება მოძრაობა კვირა დღეებში მატჩების ჩატარების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ სტატისტიკოსებს გამოუთვლიათ, რომ მამაკაცებს ინფარქტები მეტწილად ორშაბათობით ემართებათ, ე. ი. ფეხბურთის მეორე დღეს.